ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 13250862**

თარიღი:**27/03/2025**

,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N50-ე განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი'' საქართველოს კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. შევიდეს ცვლილება ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N50-ე განკარგულებაში და პირველ პუნქტს დაემატოს, „ჰ^{37}“ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

,,ჰ^{37} ავტომანქანა TOYOTA HILUX 2,5 TD, სახელმწიფო ნომერი QV335VQ, გამოშვების წელი 2007, ფერი: თეთრი''.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი